

საქართველოს კანონი

შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ (20.06.2001 N972)

ეს კანონი განსაზღვრავს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველს და მიზნად ისახავს სხვა პირთა თანაბრად უზრუნველყოს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი სრულფასოვანი ცხოვრებისა და სამოგალოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველები

1. საქართველოში შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით "შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ", მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული "შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარშესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით", საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.

2. შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 2 შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირი

შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, გრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას. (20.06.2001 N 972)

მუხლი 3. სახელმწიფოს როლი შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინვალიდური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

2. სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს.

მუხლი 4. შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უბრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით.

მუხლი 5. ქესტების ენა

სახელმწიფო ცნობს ქესტების ენას პიროვნებათაშორისო ურთიერთობის საშუალებად და უბრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

მუხლი 6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

თავი II. სოციალური ინფრასტრუქტურით შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნა

მუხლი 7. საცხოვრებელი შენობებითა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა სარგებლობის უბრუნველყოფა

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ინვალიდებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, გრანსპორტითა და საგრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი რიენგაციისა და გადაადგილებისათვის.

მუხლი 8. შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნილებების პროექტებისა და მშენებლობისას

გათვ

დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო საგრანსპორტო

საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მუხლი 9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უზრუნველყოფა კულტურულ-სანახაობით დაწესებულებებსა და სპორტულ ნაგებობებში

1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით.

2. ჩამოთვლილი მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3 აღნიშნული მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარებლობის წესს, პირობებსა და შეღავათებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 10. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა სოციალურ-პოლიტიკური ობიექტებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობის დაფინანსების, მოწყობილობის შეძენისა და შენახვის საქმეში

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საკუთრების და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად, უფლება აქვთ გაიღონ თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალურ-კულტურული ობიექტების და სპორტული ნაგებობების მშენებლობის, მოწყობილობის შეძენისა და შენახვის მიზნით. ეს თანხა არ იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ - საყოფაცხოვრებო მომსახურება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 12. შეღავათები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის აწარმოებენ საქონელსა და ტექნიკურ საშუალებებს

იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის აწარმოებენ სამრეწველო საქონელს, სპეციალურ ტექნიკურ და სხვა საშუალებებს და სპეციალდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების სფეროში, უწესდებათ შეღავათები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

თ ა ვ ი III. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია

მუხლი 13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა

1. სახელმწიფო ორგანიზაციას უწევს და ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და რეაბილიტაციის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც წარმოადგენს ორგანიზმის დარღვეული ან დაკარგული ფუნქციების, თვითმომსახურების, სხვადასახვაგვარი პროფესიული საქმიანობის უნარის აღდგენისა და კომპენსაციისათვის გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსს, აგრეთვე საშუალებას აძლევს ინვალიდებს იცხოვრონ სრულფასოვნად და უზრუნველყონ თავიანთი უფლებებისა და პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია.

2. სახელმწიფო აფინანსებს და ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო კვლევასა და სპეციალისტების მომზადებას სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის შესაფერის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების სფეროში.

მუხლი 14. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია ხორციელდება რეაბილიტაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამით, რაც განისაზღვრება საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეკომენდებულ რეაბილიტაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამაში განისაზღვრება სარეაბილიტაციო ღონისძიებების კონკრეტული მოცულობა-სახეობანი და ვადები, აგრეთვე სოციალური დახმარების სახეობანი.

მუხლი 15. რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების შესრულების სავალდებულობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის შესრულება სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფო და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო დაწესებულებები

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო დახმარების მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ქმნიან სარეაბილიტაციო, მათ შორის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრების ქსელს, ადგენითი მკურნალობის განყოფილებებს ამბულატორიულ და სტაციონალურ სასწავლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში; სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სანაგორიულ-საკურორტო დაწესებულებებს, საწარმოებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებს.

თ ა ვ ი IV. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება და პროფესიული მომზადება

მუხლი 17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებისა და პროფესიული მომზადების პირობების უზრუნველყოფა, ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი აღზრდა

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო უქმნის აუცილებელ პირობებს განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის.
2. განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე ინვალიდთათვის საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად.

მუხლი 18. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზოგადი საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება, ამ კატეგორიის ბავშვთა შინ აღზრდა და სწავლება

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ზოგად საშუალო, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს განათლებას იღებენ ზოგად სასწავლო დაწესებულებებში, საჭიროებისას - შესაბამის სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში.
2. სასწავლო მეცადინეობის ორგანიზება ხდება აგრეთვე იმ კატეგორიის ბავშვთათვის, რომლებიც მკურნალობენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სტაციონარებში ან სარეაბილიტაციო დაწესებულებებში.
3. თუ შეუძლებელია ამ კატეგორიის ბავშვთა აღზრდა და სწავლება ზოგად ან სპეციალურ სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში, მშობლების სურვილის შესაბამისად, მათი აღზრდა და სწავლება ხდება ოჯახში. ამასთან, ერთ-ერთი მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მაგერიალური უზრუნველყოფა და შეღავათები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები დახმარებას უწევენ მშობლებს ან მათ შემცველ პირებს ამ კატეგორიის ბავშვთა შინ სწავლებაში.

5. ამ კატეგორიის ბავშვთა ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების, მათთვის სამოგადოებრივი აქტიურობის, შრომის ინტერესის ჩანერგვის, ხელოვნებასთან, სპორტთან დაახლოების მიზნით განათლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის სკოლისგარეშე აღზრდის სათანადო ორგანიზაცია.

6. სტაციონარულ დაწესებულებებში ხანგრძლივად /არამუდმივად/ მყოფი ამ კატეგორიის ბავშვებისათვის აღნიშნულმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ უწყვეტი აღზრდა და სწავლება სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომით ადაპტაციასთან ორგანული კავშირით.

მუხლი 19. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების შესაბამისად ახორციელებენ სპეციალიზებული ან ზოგადი ტიპის სასწავლო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები სოციალური დახმარების ორგანოებთან ერთად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაგერიალური უზრუნველყოფა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების, პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება, პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის დასწრებულად, დაუსწრებლად, ექსტერნად, სპეციალურ ჯგუფებში, კლასებში სწავლების გზითა და ინვალიდური სასწავლო გეგმით, შინ სწავლების ჩათვლით.

თ ა ვ ი V. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომა

მუხლი 21. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლებების რეალიზაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავიანთი შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით და რეაბილიტაციის ინვალიდური პროგრამის შესაბამისად, უფლება აქვთ იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საკუთრებისა და მეურნეობის ფორმის მიუხედავად, სპეციალიზებულ საწარმოებში, საამქროებსა და უბნებზე, სადაც გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომა, აგრეთვე ეწეოდნენ კანონით ნებადართულ ინდივიდუალურ და სხვა სახის შრომით საქმიანობას. დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შრომითი

ხელშეკრულების დადებამდე ან სამსხურებრივ დაწინაურებამდე უარის თქმა, აღმინისგრაციის ინიციატივით მისი დათხოვნა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანხმობის გარეშე სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მოტივით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით მის ჯანმრთელობას ვნებს პროფესიული მოვალეობის შესრულება ან საშიშროება ექმნება სხვა პირთა ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებას.

მუხლი 22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის პირობები

1. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად იქმნება შრომის სათანადო პირობები.

2. კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით დადგენილი შრომის პირობები, მათ შორის შრომის ანაზღაურება, სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმი, წლიური და დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობა ან უნდა აუარესებდეს ან ბლუდავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობასა და უფლებებს სხვა მუშაკებთან შედარებით.

3. ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ეხმარებიან შინ ან ინდივიდუალურად მომუშავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აღნიშნული საქმიანობისათვის არასაცხოვრებელი შენობების გამოყოფაში, ნელეულის შეძენასა და პროექტის გასაღებაში.

4. შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ცნობილ მოქალაქეებს მიყენებულ გარალს უნაზღაურებენ ბრალეული საწარმოები, ორგანიზაციები /საკუთრების და მეურნეობის ფორმის მიუხედავად/ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოვალეობის შეღავათები და უპირატესობანი

ოჯახის წევრს ან გარეშე პირთ, რომლებიც უვლიან პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აქვთ შეღავათები /სამუშაო დროის, დასავენების, შვებულების და სხვა/ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თ ა ვ ი VI. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება

მუხლი 24. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება, სოციალური დახმარების სახეობანი (29.12.2004 N 934)

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით /პენსია, დახმარება და სხვა/, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ-ეგლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი

გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

2. ყველა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შრომითი საქმიანობის პერიოდში უნარჩუნდებათ შესაძლებლობის შეზღუდვის შესაბამისი სტატუსით მინიჭებული პენსია.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიებითა და დახმარებებით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საპენსიო და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამკურნალწამლო, ტექნიკური და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურება ხორციელდება უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 25. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფა ტექნიკური და სხვა საშუალებებით

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფა ტექნიკური და სხვა საშუალებებით ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით.

2. თუ სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ მისცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური ან სხვა საშუალებანი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იგი შეიძინეს საკუთარი სახსრებით, მათ ეძლევათ კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. შინ მომსახურება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების სტაციონალური დაწესებულებანი

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინაზე ან სტაციონალურ დაწესებულებებში.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალური დახმარების სტაციონარული დაწესებულებების ქსელის განვითარებას იმ კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მომვლელი.

მუხლი 27. პანსიონატებსა და სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

1. სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად და მათი სურვილის გათვალისწინებით. პანსიონატებში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონალურ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთათვის შექმნილმა პირობებმა უნდა უზრუნველყონ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაცია.

2. თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა პანსიონატში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონალურ დაწესებულებებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართით, მათ შორის ობოლ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს - სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების სახელმწიფო ორგანოები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურ დახმარებას უწევენ სახელმწიფო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სამსახურების /სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიები, საექიმო-საკონსულტაციო კომისიები, სპეციალიზებული საექსპერტო სამსახურები/ დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 29. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროები

1. სოციალური დახმარება ხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით, აგრეთვე ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ნებაყოფილობითი შენატანებით.

2. ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სოციალური დახმარების ღონისძიებებს აფინანსებენ, იბეგრებიან შეღავათიანი პირობებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თ ა ვ ი VII. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვა და განვითარება

მუხლი 30. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვა და განვითარება

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ერთად, უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვასა და განვითარებას.

თ ა ვ ი VIII. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი გაერთიანებები

მუხლი 31. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები (14.12.2006 N3976)

შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, თანადგომისა და მომსახურების მიზნით შექმნან საზოგადოებრივი გაერთიანებები, მათ შორის, სხვადასხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 32 შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის განკუთვნილი ღონისძიებები

შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ მიერ შექმნილ საზოგადოებრივ გაერთიანებათა სოციალური ინტეგრაციისა და განვითარების მხარდასაჭერად სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს (სესხები, გადასახადებისაგან გათავისუფლება, მიზნობრივი სუბსიდიები, სპეციალური ფონდები და ა.შ.). აღნიშნული ეკონომიკური ღონისძიებების გამოყენების წესი, პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (20.06.2001 N972).

თავი IX გარდამავალი დებულება

მუხლი 33 გარდამავალი დებულება
ეთხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს ყველა კანონქვემდებარე აქტში სიგყვა „ინვალიდი“ შეცვალონ სიგყვებით „შებლუღული შესაძლებლობის მქონე პირი“. (20.06.2001 N 972)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
სახელმწიფოს მეთაური
შეგარდნაძე

ედუარდ

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვანგანგ გოგუაძე

თბილისი
1995 წლის 14 ივნისი
N 756 - II ს